# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 25 იანვარი. 2022 წ. №14 (9352) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


## აქცია, რაზეც უბრალოდ გვეცინება...




# ბნელი „დემოკრატების“ ფაფხური

3



## გელათი ბაგრატის ბედს არ გაიზიარებს

**თეა წულუკიანი: ბაგრატის ტაძარი არის ემბლემა სწორედ იმ ხალხის, ვინც დღეს ქუჩაში დგას და ყვირის, ვინაიდან სწორედ მათი არასწორი საკონსერვაციო-სარესტავრაციო და კულტურის პოლიტიკის შედეგია ის, რომ ბაგრატი დღეს აღარ არის იუნესკოს სიაში.**

3

## ბოლო მოუღეთ სასამართლო მასკარადს!



4

## შალვა პაპუაშვილი: ყველა ძალისხმევა, საქმე და სიტყვა უნდა იყოს მიმართული, რომ არ მოხდეს ახალი ომი უკრაინაში!



**მსურს, სოლიდარობა გამოვუცხადო საქართველოს მოძმე უკრაინას საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტზე და ხალხის უსაფრთხოებაზე ზრუნვის საკითხში,** — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ბიუროს სხდომაზე განაცხადა.

**„აბსოლუტურად მიუღებელია ნებისმიერი ქვეყნის მხრიდან სხვა ქვეყნის სუვერენიტეტის თუ ტერიტორიული მთლიანობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება. რამდენიმე დღის წინ მქონდა შეხვედრა უკრაინაში საქართველოს ელჩთან და მასაც გამოვუცხადე ჩვენი თანადგომა. დღეს მთავარი ამოცანა არის უკრაინაში ახალი ომის არდაშვება. ვფიქრობ, ყველა ჩვენი ძალისხმევა, ყველა საქმე და სიტყვა უნდა იყოს მიმართული სწორედ აქეთკენ, რომ არ მოხდეს ახალი ომი უკრაინაში. შესაბამისად, ეს არის როგორც უკრაინის, ისე საქართველოს ინტერესში და ისე მთლიანად რეგიონის ინტერესში. მნიშვნელოვანი და კრიტიკულია დასავლეთის ერთიანობა, რათა არ იქნას დაშვებული საომარი მოქმედებები უკრაინაში. მინდა, მოსახლეობას მოვახსენო, რომ მჭიდრო კომუნიკაციაში ვართ ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან და რა თქმა უნდა, სწორედ ამ კომუნიკაციის შესაბამისად ვიმოქმედებთ“,** — განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

## შინაგან საქმეთა სამინისტრო:

# ვგმობთ ნებისმიერ ძალადობას!

**თბილისის მეტროპოლიტენში გადაღებულ ვიდეომასალასთან დაკავშირებით შსს განცხადებას ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ სამინისტრო პირველ რიგში გმობს ნებისმიერი სახის ძალადობას, უწყებისთვის კატეგორიულად მიუღებელია პოლიციელის მხრიდან ნებისმიერი ძალადობრივი ქმედება, რომელიც შესაძლოა, არღვევდეს ადამიანის უფლებებს.**



მედიასაშუალებებში მიმდინარე წლის 24 იანვარს გავრცელდა თბილისის მეტროპოლიტენში გადაღებული ვიდეომასალა, სადაც პოლიციელის მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტია ასახული. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ვიდეომასალის გავრცელებისთანავე დაიწყო ფაქტის მოკვლევა, რომლის ფარგლებში მოპოვებული მასალები უკვე გადაუგზავნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა პოლიციელის მხრიდან ძალადობით უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით დაიწყო.

## 27 000 დევნილი ოჯახი ახალაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილდა



2

**ყოფილ სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები დევნილები ახალ საცხოვრებელ ბინებს 2022 წელს უპირობოდ მიიღებენ**

# მთავრობა გეგმაზომიერად მუშაობს!



## საქართველოსთვის გადმოცემულ მიწაზე ქართული კულტურის ცენტრის ასაშენებლად, სამთავრობო კომისია იქმნება

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის სხდომაზე, მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ, საქართველოსთვის გადმოცემული 4 000 კვ.მ მიწის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ, პატრიარქის კურთხევით, აღნიშნულ მიწაზე ქართული კულტურის ცენტრის აშენება იგეგმება.

**„სწორედ ამ მიზნით, ჩვენ შევქმნით სამთავრობო კომისიას, დავიწყებთ მუშაობას კონცეფციაზე, პროექტსა და შემდეგ მშენებლობაზე გადავალთ. მინდა, ხაზი გავუსვა ამ პროცესში მისი უწმინდესობის უდიდეს როლს. მასთან ერთად, კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას იორდანიის მეფე აბდულა მეორეს, პრინც ღაზისა და იერუსალიმის პატრიარქ თეოფილუსს, იორდანიის არქიეპისკოპოსსა და ყველას, ვინც ჩართული იყო ამ პროცესში, განსაკუთრებით, ჩვენს ელჩს იორდანიაში, ბატონ ზაზა კანდელაკსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს“,** — აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

პრემიერის თქმით, მთავრობამ კომისიის მუშაობაში ჩართვა საპატრიარქოს წარმომადგენლებს — მეუფე შიოს, მეუფე გერასიმეს, მეუფე დავითს, მეუფე თეოდორესა და დეკანოზ ანდრია ჯაღმაიძეს სთხოვა.

## 27 000 დევნილი ოჯახი ახალაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილდა

**„დევნილთა საკითხებზე მე მქონდა საუბარი მინისტრ აზარაშვილთან. მისი დავალებით გუშინ დევნილთა სააგენტომ გაავრცელა განცხადება. მანამდე მინდა მოსახლეობას შევახსენო, თუ რა მდგომარეობა დაგვხვდა 2012 წლამდე. 2012 წლამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების საკითხი ქაოტურად მიმდინარეობდა. განსახლების ძირითადი მიმართულება იყო დევნილთა მხრიდან ე.წ. მოკავებული ფართების დაკანონება და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტების რეაბილიტაცია. არ არსებობდა ერთიანი სტანდარტი, რის მიხედვითაც რეგულირდებოდა განსახლების პოლიტიკა, განსახლების საკითხის განხილვისას არსებითი ყურადღება არ იყო გამახვილებული ოჯახის წევრთა რაოდენობაზე. იყო შემთხვევები, რომ ოჯახს მათი ნების საწინააღმდეგოდ 9-10 კვადრატული მეტრი ფართი უკანონდებოდა. ასევე არ იყო შემუშავებული მეთოდოლოგია, რის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო განსახლების საჭიროების მქონე დევნილი ოჯახის შერჩევა და ასევე, 2012-წლამდე განსახლების პროექტები ხორციელდებოდა უშუალოდ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ფინანსური რესურსის გამოყენებით და ბიუჯეტი იყო საკმაოდ მწირი. 2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად ამოქმედდა განსახლების სხვადასხვა პროგრამა, ალტერნატივები. მე მინდა ეს ჩამოვთვალო და მოსახლეობას კიდევ ერთხელ შევახსენო: ახალაშენებულ კორპუსებში იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის ბინების შესყიდვა დავიწყეთ ჩვენ ინტენსიურად 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან. ე.წ. სოფლად სახლის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დევნილი ოჯახი თავად არჩევს და წარმოადგენს სააგენტოში შესასყიდ სახლს; დავიწყეთ მასშტაბური მშენებლობები იძულებით გადაადგილებული ოჯახების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით და დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში, 27 000 დევნილი ოჯახი ახალაშენებულ კორპუსებში მდებარე საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდა. მართლაც მასშტაბური პროექტები განხორციელდა“...**

## ჩვენ გავხსენით თურქეთის ბაზარი!..

**დაპირებისამებრ, ჩვენ გავხსენით თურქეთის ბაზარი, ახლა იმპორტიორებისგან გვაქვს მოლოდინი, რომ დროულად შემოიტანენ ხარისხიან და იაფ მედიკამენტებს,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„მინისტრი ზურაბ აზარაშვილი აქტიურად არის ჩართული. მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო იმპორტიორებს, დროულად მოხდეს ამ მედიკამენტების შემოტანა, რაც ჩვენი ვარაუდით, ძალიან მალე გააიაფებს ფასებს მედიკამენტებზე“.

## ზურაბ აზარაშვილი: ყველაზე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი დევნილებისთვის სხვადასხვა ქალაქში უკვე შევარჩიეთ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწები

**ჩვენ ყველა მიმართულებით ვმუშაობთ, ყველა შესაძლო რესურსს ვიყენებთ და უახლოეს პერიოდში გვექნება კონკრეტული ხელშესახები შედეგები,** — ამის შესახებ ზურაბ აზარაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე დევნილთა განსახლებაზე საუბრისას განაცხადა. დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა იმ ნაბიჯებზე ისაუბრა, რომელსაც უწყება ამ საკითხის მოსაგვარებლად დგამს.

**„ყველაზე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი დევნილებისთვის თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და სხვადასხვა ქალაქში უკვე შევარჩიეთ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწები და ახლა მიმდინარეობს პროცესი მუნიციპალიტეტებთან, ქონების მართვის სააგენტოსთან, ამ მიწების გადმოსაცემად. პარალელურად, ჩვენ დაწყებული გვაქვს მოლაპარაკებები სხვადასხვა სამშენებლო კომპანიასთან ამ მიწებზე მშენებლობების დაწყების კუთხით“.**



## ყოფილ სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები დევნილები ახალ საცხოვრებელ ბინებს 2022 წელს უპირობოდ მიიღებენ

**დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო აქტიურად მუშაობს ყოფილ სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები დევნილი ოჯახების გრძელვადიანი განსახლების საკითხებზე და მათი დროულად გადაჭრის გზებზე,** — ამის შესახებ დევნილთა სააგენტოს განცხადებაშია ნათქვამი. უწყების ცნობით, საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ყოფილ სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები დევნილები ახალ საცხოვრებელ ფართებს 2022 წელს უპირობოდ მიიღებენ.

„სანატორიუმ „ქართლის“ შენობიდან დევნილი ოჯახების გამოყვანის და მათი უსაფრთხო გარემოში განსახლების მიზნით, დევნილთა სააგენტომ გადადგა შემდეგი ქმედითი ნაბიჯები:

- **დევნილ ოჯახებს, სააგენტო ბინის მოძიებაში დახმარებას და ქირით დაუყოვნებლივ გადაყვანას სთავაზობს;**
- **ქირასთან დაკავშირებით, სააგენტოს მხრიდან გაცემულია ადმინისტრაციული დაპირება ერთწლიანი ქირის გადახდის შესახებ;**
- **სურვილის შემთხვევაში, დევნილ ოჯახებს შესაძლებლობა ეძლევათ, ექსპლუატაციაში მიუღებელი ბინებიც წარმოადგინონ და სააგენტო მათ ამ საცხოვრებელ ფართს შეუძენს;**
- **მიმდინარე მენაშენეთა კონკურსის ფარგლებში, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს მენაშენეთა ასოციაციასთან, სამშენებლო კომპანიებთან და ამ პროცესის შესახებ, ყოველკვირეული ანგარიშის სახით, წერილობით ეცნობება დევნილ მოსახლეობას;**

დევნილი ოჯახების გრძელვადიანი განსახლებისა და მათთვის ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის მიზნით, თბილისის, ზუგდიდისა და რუსთავის მუნიციპალიტეტებთან აქტიურად მიმდინარეობს მიწის მოძიებისა და სააგენტოსთვის გადმოცემის სამუშაოები. ქუთაისში ახალი კორპუსების ასაშენებლად, ადგილი უკვე შერჩეულია და მშენებლობა მიმდინარე პროექტების ფარგლებში გაგრძელდება.

საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ „ქართლში“ მცხოვრებ ოჯახებზე გასცა ადმინისტრაციული დაპირება და განსახლების ორი გზა შესთავაზა:

**1. დევნილ ოჯახებს, თბილისში ბინის მოძიება თავად შეუძლიათ და ამ შემთხვევაში, კვადრატული მეტრის ფასი, რომელის შესყიდვასაც სააგენტო განახორციელებს, შეადგენს 550 დოლარის ეკვივალენტს ლარში;**

**2. დევნილ ოჯახებს ასევე აქვთ ალტერნატივა, დაელოდონ მათთვის შეძენილი ბინების მშენებლობის დასრულებას. ამ შემთხვევაში, სააგენტო მათ ქირის თანხით უზრუნველყოფას სთავაზობს“.**

## კახა კალაძეს „ნაცმოძრაობის“ გეგმებზე ლაპარაკი „ეზარება“...



**იმდენი საქმე გვაქვს, რომ ნამდვილად არ მაქვს იმის დრო, „ნაციონალური მოძრაობის“ სამომავლო გეგმებზე, მიზნებზე და თუ რას გააკეთებენ, ამაზე დავხარჯო დრო. გაუგებარია მათი პოზიციები.**

ერთ დღეს ასეა, მეორე დღეს ისეა, თუმცა ეს მათი გადასაწყვეტია რას და როგორ იზამენ. ჩვენ ვაკეთოთ ჩვენი საქმე...

**„ეს არის დესტრუქციული ძალა. შეუძლებელია რაიმე შეფასებები გააკეთო ამ ძალასთან მიმართებაში, იმიტომ, რომ მათი ძირითადი, მთავარი მამოძრავებელი ძალა არის, რომ როგორმე დესტრუქცია, არეულობა, დაძაბულობა, დაპირისპირება და ა.შ. მოაწყონ. თუმცა ცხადია, ეს მათ არ გამოუვათ, რაც არ უნდა ეცადონ...**

## საერთაშორისო ბლოგერების „შემოსევა“

**...ჩვენ ვმასპინძლობთ საერთაშორისო ინფლუენსერებსა და ბლოგერებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, აშშ-დან და ევროკავშირის სახელმწიფოებიდან. მათ ძალიან ბევრი გამომწერი ჰყავთ და თავიანთ სფეროში საუკეთესო სპეციალისტებად მიიჩნევიან. ინფლუენსერები და ბლოგერები მოამზადებენ პუბლიკაციებს საქართველოს ტურისტული შესაძლებლობების, ქვეყნის სამთო კურორტებისა და სამოგზაურო-სპორტული ინფრასტრუქტურის შესახებ, გამოაქვეყნებენ ფოტო და ვიდეორეპორტაჟებს საქართველოსა და მისი ლამაზი ბუნების, უნიკალური სამზარეულოს, ტურისტული და კულტურული ღირსშესანიშნაობების და სტუმარმასპინძლობის თაობაზე. მოველით, რომ ეს პროექტი მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს, როგორც ტურისტულად აქტიური ქვეყნის ცნობადობას მიზნობრივ ბაზრებზე, ასევე პოპულარიზებას გაუწევს ზამთრის ტურისტულ სეზონს“,** — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილმა, რომელმაც გუდაურში საერთაშორისო სამთო მოგზაური ბლოგერებისა და ინფლუენსერების 15-კაციან ჯგუფს უმასპინძლა.

მარიამ ქვრივიშვილის თქმით, ინფლუენსერებსა და ბლოგერებს თავად აქვთ შესაძლებლობა, ნახონ და გამოსცადონ ტურისტული ინფრასტრუქტურა სამთო კურორტებზე და თავისი შთაბეჭდილებები სოციალური ქსელების მეშვეობით პოტენციურ მოგზაურებს გაუზიარონ.

**„მოველით, რომ მათი აქტივობა ხელს შეუწყობს საქართველოში ტურიზმის სწრაფ აღდგენას, ასევე დაგვეხმარება მიზნობრივი ბაზრებიდან უფრო მეტი მაღალმხარჯველუნარიანი მოგზაურის მოზიდვაში“,** — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

ინფლუენსერები და ბლოგერები საქართველოში სამოგზაურო პლატფორმა Steller-თან ერთად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებითა და USAID-ის (აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო) ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით ჩამოვიდნენ.



# აქცია, რაზეც უბრალოდ მეცინება...

# ბნელი „დემოკრატების“ ფაფხური






**გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმმა გამოსცა ელენე ბაქრაძის (დარიანი) წიგნი, სადაც ხსენებული ავტორის კუთვნილებად გამოცხადებულია ანა კალანდაძის სამი ლექსი.**

ამასთან დაკავშირებით კულტურის სამინისტრომ გააკეთა აბსოლუტურად სწორი, ღირსეული განცხადება და ატყდა ნაცურ-ლიბერასტული ჟრიამული — თურმე როგორ გაბედა თეა წულუკიანმა და საკითხის შესწავლა დაიწყო.

ეგ კი არა და, თვით დიიიდი რომანა გოცირიძეც აღშფოთდა, რომელსაც ანა კალანდაძის ლექსების კრებული კი ექნება სახლში, მაგრამ გადაუფურცლავი, ხოლო დარიანი სავარაუდოდ პირველად გაიგო.

კი ვიცით, რა მუცლის გვრემაც აწუხებთ „ლიტერატურაზე შეყვარებულ“ უწიგნურებს და ეს გვრემა კიდევ უფრო გაუძლიერდებათ, როცა კულტურის სამინისტრო მუზეუმებიდან უკანონოდ გატანილი საგანძურების აღრიცხვას და შესწავლას დაიწყებს და თუ კულტურის სფეროს დაქვემდებარებულ ისტორიულ შენობებში გახსნილი რესტორნების თემაც წამოიწია, მხოლოდ პოეტური კაეშანი დარჩებათ განსაქარვებლად.

შეშფოთდა და თავისუფლება მოითხოვა მიშას დროინდელმა მინისტრმა იულონ გაგოშიძემაც.

იულონ გაგოშიძემ, რომლის მეუღლე თინა ქუთელია, შვილი გიორგი გაგოშიძე, 2 შვილიშვილი და რძალი — ამ კლანის ნაწილი, სააკაშვილის დროსაც მუშაობდა და ნაწილი დღემდეც მუშაობს სამინისტროს სისტემაში, ჭამენ სახელმწიფო ფულს, პრაქტიკულად მაფიოზურ „კოზა ნოსტრას“ წარმოადგენენ წლების განმავლობაში და თურმე, არავინ არაფერი არ უნდა გაუბედოს, თან იმ ფონზე, როდესაც გიორგი გაგოშიძის დამსახურებაა — გელათის ამ დღეში ჩაგდება, რა დღეშიც არის და ახლა უწევს ამ პრობლემის გამოსწორება სწორედ იმ კულტურის მინისტრს, რომელსაც ესენი ასე უმოწყალოდ ლანძღავენ.

ამ ფონზე იულონის შვილიშვილი და გიორგი გაგოშიძის შვილი, რომელსაც ხელოვნების მუზეუმში წლებია, უნახავდნენ სამსახურს, ამერიკიდან გვმოძღვრავს და წიგნების კითხვას გვირჩევს.

აქციას ციხიდან სააკაშვილიც გამოეხმაურა: შეგახსენებთ, რომ კულტურის სამინისტროსთან ხელოვანების, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო აქტივისტების საპროტესტო აქცია მიმდინარეობს. ისინი კულტურის სფეროდან, კერძოდ კი, ხელოვნების მუზეუმიდან თანამშრომლების გათავისუფლებას აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ ეს ადამიანები კულტურის მინისტრმა სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლა.

* * *

ძალიან სასაცილოა ნაცების და აგრესიული ლიბერალების მიერ თეა წულუკიანის მიმართ წამოყენებული ბრალდება მისი „ბოლშევიკური მეთოდების“ შესახებ.

სასაცილოა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ წამოყრანტალებული ფრაზით, ისინი თავიანთი განათლებისა და აზროვნების სიმწირეს თავად ადასტურებენ.

ცხადია, ამ ტიპებთან რაიმეს ახსნას აზრი არა აქვს. უბრალოდ ნორმალურ, განათლებულ ხალხს მინდა შევახსენო ის „ბოლშევიკური სტილი“, რაც ნაცებმა და ლიბერასტებმა თავიანთი ზეობის პერიოდში გადმოიღეს.

ბოლშევიკებმა ინტელექტთან და განათლებასთან საბრძოლველად შექმნეს ე.წ. მუშგლეხინები, სადაც დაჩქარებული წესით აწარმოებდნენ წითელი პროფესურის, წითელი ხელოვნების და წითელი ინტელიგენტის ქარხნული წესით გამოშვებას.

იმ „სასტავის“, რომელსაც უნდა ჩაენაცვლებინა ნამდვილად განათლებული, მაგრამ ბნელი (სიტყვა „ბნელი“ ხომ არ გეცნობათ?) ადამიანები.

ნაცებმა და ლიბერასტებმაც შექმნეს თავიანთი მუშ-გლეხინები ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლების სახით და იქ განაწესეს თანამედროვე კომკავშირელ-კომისართა რაზმები. შექმნეს პროპაგანდის განყოფილებები მედიის სახით, სადაც ჟუჟურრნალისტები მდაბიო ტიპებს თავად ანიჭებდნენ მწერლის, ინტელექტუალის, ვარსკვლავის და სხვა წოდებებს.

ზუსტად ისე, როგორც 30-იან წლებში გადაღებულ ფილმებში ნამდვილი პროფესორები და ინტელიგენტები გამოჰყავდათ წაწვეტებულ-ბლანჟეიან, დაბნეული მოხუცების, ან ახალგაზრდა, მაგრამ ბურჟუაზიული იდეებით გაჟღენთილი, ბოროტი, რევანშის მსურველი გადმონაშთების სახით, მათაც ფართოდ გაშალეს ეიჯიზმი, დაამკვიდრეს სიტყვები „ბნელი“ და „ჩარეცხილი“ძ.

რა თქმა უნდა, აღარ ვიტყვი იმას, რომ სააკაშვილმა ნამდვილი ხელოვანები, ნამდვილი მეცნიერები, ნამდვილი ქართველების ჩარეცხვა და მათ ადგილას რაღაც აგრესიული ლიბერალიზმისა და **contemporary art**-ის უაზრო სიმბიოზის შექმნა მოინდომა.

ცხადია, არ ვიტყვი, რომ მის დროს შეიქმნა ახალი ფორმატი, სადაც მავანთ „მწერალს“, „მომღერალს“, „ხელოვანს“, „ვარსკვლავს“, „ინტელექტუალს“ არა ხალხი, არამედ ისეთი ჟუჟუურნალისტები არქმევდნენ, რომლებსაც არამც თუ იმ ტიპების „ნალვაწი“, „კომბლეც“ არა აქვთ წაკითხული.

არ ვიტყვი იმას, თუ როგორი თანმიმდევრობით ანადგურებდა განათლებას და კულტურას, რათა ახალი, ლომჯარია-სალაძის ტიპის არსებები გამოეყვანა.

არ ვიტყვი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყველამ იცის. და რაც მთავარია, მათ დაამკვიდრეს შიში.

შიში იმისა, რომ შენ თუ „მთვარის მოტაცება“ მოგწონს და ევროპას ისე აფასებ როგორც თარაშ ემხვარი აფასებდა ბნელი ხარ და სამწუხაროდ ეს შიში დღესაც მუშაობს.

ეს საკმაოდ ადვილად გამოუვიდათ, რადგანაც წიგნების ფასი კატასტროფული გახდა, ნამდვილ მწერლებს სრულად ჩაეკეტათ გამომცემლობების კარი, მოისპო განათლებული, ინტელექტუალური მედია და ტელევიზიები აივსო მდარე, უგემოვნო შოუებით, ფილმებითა და სერიალებით, სადაც წარსული წარმოჩინდა როგორც ნარკომანებისა და ბანდიტების წარმომშობი დრო, დღევანდელობა კი როგორც ფერადი, ბედნიერი ყოფა.

ის, რასაც თეა წულუკიანი აკეთებს, არის იმ მართლაც ბნელი, განვითარების პერსპექტივის მომსპობი წარსულისგან გათავისუფლება და ის როგორც ეს ვითომცდა „ძიმაკრაწები“ ფაფხურობენ, სწორედაც 20-30-იან წლებში დაბრუნება.

იმ წლებში, სადაც ლენინი მიშათი, ხოლო ნამდვილი ხელოვნება წითელი, ანუ „თანამედროვე“ დადაიზმით შეიცვალა.



ასე რომ ამ უწიგნურების მხრიდან თეა წულუკიანის წინააღმდეგ „ბრძოლაზე“, უბრალოდ მეცინება.

**გია გაბრიჭიძე**

## გელათი ბაგრატის ბედს არ გაიზიარებს!



**ალმოჩნდა, რომ გიორგი გაგოშიძისა და სხვა მსგავსი ვითომ პროფესიონალების, ხუმრობით ვამბობ, „პროფესორობით“ გელათის სახურავზე ასეულობით კვადრატულ მეტრზე დაგებულ ე.წ. წითელ და თეთრ კრამიტს არ გაუვლია სამხარაულის ექსპერტიზა,** — განაცხადა კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, სახურავის ნიმუშების მიხედვით, არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებს არც ყინვამედეგობის და არც წყალმედეგობის კრიტერიუმებს.

**„შევეცადეთ, დაგვეჩქარებინა პროცესი იუნესკოს იმ იტალიელ ექსპერტებთან, რომლებზეც იუნესკომ თქვა, აი, ესენი არიან, ვინც დაგეხმარებათ გელათის გადარჩენაშიო. ეს არის ერთი ჯგუფი სახურავის, კლიმატის და კედლის მხატვრობის პროფესიონალები. ისინი მუშაობენ, მაგრამ სიჩქარე ამ საქმეში არვარგა. ჩემს თანამშრომლებს პანდემიიდან გამომდინარე მომავალ კვირაში აქვთ „ზუმით“ ჩართვა. დროში გაწერილი გეგმაა და ისინი უკვე ზაფხულისთვის შემოგვთავაზებენ საბოლოო პროექტს, რომელიც მაინც არ იქნება მზად განხორციელებისთვის, რადგანაც ქვეყნის შიგნით შესაბამის საბჭოებში უნდა შედგეს ფართო განხილვა. შემდეგ უნდა შედგეს საზოგადოებასთან კომუნიკაცია, და ამის შემდეგ უნდა დაიწყოს კორექტივების შეტანა“,** — განაცხადა თეა წულუკიანმა საქართველოს პირველი არხის გადაცემაში.

შეკითხვაზე, ემუქრება თუ არა გელათსაც იუნესკო-ს ნუსხიდან ამოღება, კულტურის მინისტრმა განაცხადა, რომ გელათი ბაგრატის ბედს ვერ გაიზიარებს.

**„რა თქმა უნდა, გელათი ბაგრატის ბედს ვერ გაიზიარებს. ჩვენ ამისთვის უკვე ყველაფერი გავაკეთეთ და ვართ იმედიანად. თუმცა, ძალიან დიდი სამუშაო არის ჩასატარებელი, სწორედ ამ არაკვალიფიციური ადამიანების გამო, რომლებიც დღეს ქუჩაში ბევრს ყვირიან. ვფიქრობ, ამ რისკებს სწორად ვუმკლავდებით და არის მაქსიმალურად დაზღვეული. აქვე, ვსარგებლობ შემთხვევით და იუნესკო-ს თითოეულ თანამშრომელს და მათ გენმდივანს მინდა, მხარდაჭერისთვის მადლობა გადავუხადო, რადგანაც მათ მგონი, ამ ქუჩაში მდგარ ზოგიერთ ვაიქართველზე უკეთესად ესმით, რა არის გელათი მსოფლიოსთვის და არა მხოლოდ საქართველოსთვის. ყველა შანსი არის ჩვენს მხარეს, იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს“,** — განაცხადა წულუკიანმა.

კულტურის მინისტრი ამბობს, რომ ბაგრატის ტაძარი არის ემბლემა სწორედ იმ ხალხის, ვინც დღეს ქუჩაში დგას და ყვირის, ვინაიდან სწორედ მათი არასწორი საკონსერვაციო-სარესტავრაციო და კულტურის პოლიტიკის შედეგია ის, რომ ბაგრატი დღეს აღარ არის იუნესკოს სიაში.

## იმდენი რამ გავიგეთ გიგი თევზაძეზე, დღეს რაღამ უნდა გაგვაკვირვოს?!

**„ეს ერთხელ უკვე დაწერილი მაქვს.**

**ენის შესახებ საშინელ (საშიშ) კანონს იღებდნენ.**

**ამის გამო, თელავის ტრადიციულ კონფერენციაზე ავტეხეთ განგაში მე და პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა.**



**იმ კონფერენციას პროფესორი მაია ნათაძეც ესწრებოდა.**

**აღშფოთებულმა ქალბატონმა მაიამ (ნოდარ ნათაძის დამ) ამ საკითხს თბილისის უნივერსიტეტში საგანგებო შეკრება მიუძღვნა.**

**იმ შეკრებაზე მან ასეთი რამ განაცხადა:**

**„მე ვიცი, რატომ სძულს გიგი თევზაძეს უნივერსიტეტი, მაგრამ არ ვიცი, რატომ სძულს საქართველო!“**

**რატომ სძულს უნივერსიტეტი? ქალბატონმა მაიამ ასე ახსნა:**

**„იმიტომ რომ უნივერსიტეტი არის მოწმე, თუ როგორ მიიღო ყველაფერი, რაც არ ეკუთვნოდა“.**

**ეს აზრი ყოფილმა რექტორმა, ცნობილმა აკადემიკოსმა, კონკრეტული არგუმენტებით დამისაბუთა.**

* * *

**მას შემდეგ იმდენი რამ გავიგეთ გიგი თევზაძეზე, რომ დღეს რაღამ უნდა გაგვაკვირვოს?!**

**მაგალითად, შარშან თუ შარშანწინ, კიკეთში გვიყვებოდნენ, საკუთარი მშობლის დაკრძალვასაც რომ არ დაესწრო.**

**და ახლა იმან როგორ უნდა გაგვაკვირვოს, თეა წულუკიანის წინააღმდეგ პეტიციას რომ წერს?!**

* * *

**წეროს და იკითხოს!.. წერას მაინც ისწავლის...“**

**იოსებ ჭუმბურიძე.**



# ბოლო მოუღეთ სასამართლო მასკარადს!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს**
**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ შალვა პაპუაშვილს**

**გვინდა, ვირწმუნოთ, რომ საქართველოში არავინ იდგება კანონზე მაღლა, რომ ჩვენი ქვეყანა ნამდვილად დემოკრატიულია, რომელიც იღვწის ევროკავშირში გაერთიანებისთვის... მაგრამ როგორ? როცა საქართველოს სასამართლო (მთელი სისტემა — სამივე ინსტანციის სასამართლო) ორგანიზებულად შეუპოვრად გვებრძვის თბილისში, მელიქიშვილის ქ. №39-ში მცხოვრებ რამდენიმე კანონმორჩილ, მორალური პრინციპების მქონე ბინათმფლობელს, რომელსაც არ გვსურს, უბრალოდ არ ძალგვიძს მოქმედი და ყოფილი მოსამართლეების (დღეისთვის ადვოკატების) ერთობლივ თაღლითურ სქემაში მონაწილეობა, მათი თანამზრახველობა.**

დავაკონკრეტებთ: — სასამართლომ საქმე განიხილა სადავო ქონების მესაკუთრეების, სომხეთის მოქალაქეების მარიანნა და იზაბელა კასპაროვების გარეშე ისე, რომ მათთვის არ გაუგზავნიათ შეტყობინება მათ ქონებაზე დაწყებული სასამართლო დავის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ წარვუდგინეთ სასამართლოს მათი მისამართები ქალაქ ერევანსა და ქალაქ გიუმრიში. მოსამართლე **თინა ვაშაყმაძემ** საქმე წარმოებაში კანონდარღვევით მიიღო — მოსარჩელე მოთხოვნაზე არაუფლებამოსილი პირია. მთელი პროცესი წარიმართა კანონდარღვევით ყალბი მონაცემების შემცველი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სადაც მესაკუთრეთა სიაში არ ფიგურირებენ ქონების დიდი ნაწილის მესაკუთრეები კასპაროვები — მთელი მათი წილები 45/72 რეგისტრირებულია ერთ-ერთ ბინათმესაკუთრის **ლამარა მარტიაშვილის** სახელზე, რომელსაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს „ორი გრუპთან" 150 000 დოლარად მთელი ქონების მიყიდვის თაობაზე.

ბატონო პრემიერო! მაშინ, როცა თქვენ თბილისში მასპინძლობდით მეზობელ სომხეთის პრემიერს, ბ-ნ ნიკოლ ფაშინიანს, მოსამართლეებმა **მაია სულხანიშვილმა** და **თამარ ზამბახიძემ** მალულად, ქურდულად წაართვეს თბილისის ცენტრში, მელიქიშვილის ქ. 39-ში მდებარე უძრავი ქონება სომხეთის ორ მოქალაქეს და მიაკუთვნეს იგი მათთან გარიგებაში მყოფ პირებს (მათთან გარიგებას აწარმოებენ მოსარჩელის ადვოკატები **ლამარა კობალაძე** და **მანანა ნასარიძე** — ყოფილი მოსამართლეები და **გიორგი ქორქაძის** ადვოკატი — აგრეთვე ყოფილი მოსამართლე **თამაზ კილანავა**).

უკიდურესი ცინიზმით და ნიჰილიზმით სასამართლო უარს აცხადებს უკანონო გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე და ცდილობენ კანონიერ ძალაში შეიყვანონ იგი.

რა ვითარება წარმოშვა ყოველივე ამან მელიქიშვილის ქ. №39-ში მდებარე უძრავი ქონების თანამესაკუთრეების წინაშე? — უკანონო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მესაკუთრე კასპაროვების მთელი ქონება 45/72 ნაწილი — კომერციული და საცხოვრებელი ფართები დარეგისტრირდება უკანონო მესაკუთრეების სახელზე და დაუყოვნებლივ გასხვისდება, რისი მცდელობაც უკვე სახეზეა.

კანონმორჩილი, მორალური პრინციპების მქონე ბინათმფლობელები ვიმყოფებით დისკრიმინაციულ პირობებში. თაღლითი, ეგრეთ წოდებული ახალი მესაკუთრეების მხრიდან; ყოფილი შპს „მერიდიანის" მესვეურები **გიორგი ქორქაძე** და **ომარ თურმანიძე**, ამ უკანასკნელის ცოლი **მარინა მელაძე** გვავიწროვებენ, თავს გვახვევენ ეგრეთ წოდებულ ინვესტორებს და საკუთარ ფასებს ადებენ ჩვენს საცხოვრებელ თუ კომერციულ ფართებს; უწყვეტი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ გვამყოფებენ, ადგილი აქვს არაერთგზის მუქარასაც...

გთხოვთ, ბოლო მოუღოთ არასათანადო მოსარჩელესა და არასათანადო მოპასუხეებს შორის სასამართლო დავას; უფრო სწორად კი — სასამართლო მასკარადს.

*სამართლიანობის აღდგენის მოლოდინით და პატივისცემით*

**ნანა ნატროშვილი.**

# საქართველო ხორბლისა და ფქვილის იმპორტს შორის „გაიჭედა"...

**ფქვილის იმპორტი 7-წლიან მაქსიმუმზეა. საქსტატის მონაცემებით, 2021 წელს საქართველომ 37,576 ტონა (12,020 მლნ აშშ დოლარი) პროდუქტი შეიძინა, რაც 2015 წლის შემდეგ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ფქვილის იმპორტი ხორბლის მკვეთრმა გაძვირებამ წაახალისა და სწორედ ესაა ადგილობრივი წისქვილკომბინატების პროტესტის მთავარი მიზეზიც.**

აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის ფქვილის მთავარი მიმწოდებელიც რუსეთია, ისევე როგორც ხორბლის შემთხვევაში. შარშან ქვეყანამ რუსეთისგან 36 517 ტონა (11,535 მლნ აშშ დოლარი) პროდუქტი შეიძინა.

ცნობილია, რომ 2021 წელს რუსეთმა ხორბლის ექსპორტზე მცურავი ბაჟი დააწესა, რაც ქართველი იმპორტიორებისთვის ერთ ტონა ხორბალს თითქმის 100 დოლარით აძვირებს. იმის გამო, რომ მსგავსი შეზღუდვა არ ვრცელდება ფქვილის იმპორტზე, კომპანიების დიდ ნაწილს ფქვილის ადგილზე გადამუშავება აღარ ულირთ, წარმოებას ხურავენ და ფქვილის იმპორტზე გადადიან.

წისქვილკომბინატები კი სწორედ ამ მიდგომას აპროტესტებენ. ისინი ითხოვენ თანაბარ პირობებში ჩადგეს ადგილობრივი მწარმოებელი და შემომტანი, რათა კონკურენცია გაუწიონ იმპორტირებულ ფქვილს. გადაწყვეტილების აუცილებლობას ადგილობრივი მწარმოებლები ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოებით ხსნიან. მათი მტკიცებით, არსებულმა რეალობამ დიდი შანსია, გამოიწვიოს პურის დეფიციტი.

**„პრობლემის არსი უკვე მრავალჯერ აღინიშნა და ეს, რუსეთის მიერ ხორბალზე დაწესებული საბაჟო გადასახადია, რომელიც 98 დოლარს შეადგენს, ფქვილზე კი მსგავსი გადასახადი არ არსებობს. შესაბამისად, სხვაობამ ნედლეულსა და მზა პროდუქტს შორის შექმნა პრობლემა. ჩვენ გვინდა, თანაბარ პირობებში ჩადგეს ადგილობრივი მწარმოებელი და შემომტანი, რათა კონკურენცია გავუწიოთ იმპორტირებულ ფქვილს.**



**აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სასურსათო უსაფრთხოების კუთხით, საქართველო 2-3 თვეა კრიტიკულ ზღვარს ბევრად ქვევითაა. საქსტატის მონაცემები რომ ავიღოთ, შეიძლება პურის და ფქვილის დეფიციტამდე მივიდეთ. უხეშად რომ ვთქვათ, ბოლო სამ თვეში რა მოცულობის ხორბალიც შემოვიდა, წინა წლებში 1 თვეში შემოსულ მოცულობას უდრის.**

**ახლა, დაანონსებული აქვს რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომ შეისწავლონ ხორბლის, სიმინდისა და ქერის გადამუშავების შედეგად მიღებულ პროდუქციაზე რამდენად შეიძლება საბაჟო გადასახადის დაწესება. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება მივიღოთ შედეგი, რომ ნახტომისებურად გაიზარდოს პურის და ფქვილის ფასი, რაც ადგილზე წარმოების შემთხვევაში არ იყო, რადგან 2-3-თვიანი მარაგები მუდმივად გვქონდა და ეს გარდამავალი ნაშთი ეტაპობრივად ზრდიდა ფასს. პირდაპირ იმპორტის შემთხვევაში ეს შეუძლებელი იქნება",** — განაცხადა წისქვილკომბინატ „ბარაქას" დირექტორმა **ლადო ბიძინაშვილმა**.

ხორბლის იპორტის შემცირების საკითხზე სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეხვედრაც გაიმართა. წისქვილკომბინატების წარმომადგენლებმა **ლევან დავითაშვილს** ის ვითარება გააცნეს, რაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის **ლევან სილაგავას** ინფორმაციით, შეხვედრას ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ:

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის თანახმად, 2021 წელს საქართველომ 37,576 ტონა (12,020 მლნ აშშ დოლარი) ფქვილი შეიძინა, ხოლო 2020 წელს — 10,800 ტონა (3,062 მლნ აშშ დოლარი). რაც შეეხება ბოლო წლების მონაცემებს, ასე გამოიყურება:

**2019 წელს — 16,885 ტონა (4,836 მლნ აშშ დოლარი)**

**2018 წელს — 14,705 ტონა (3,998 მლნ აშშ დოლარი)**

**2017 წელს —15,028 ტონა (4,071 მლნ აშშ დოლარი)**

**2016 წელს — 26,487 ტონა (6,994 მლნ აშშ დოლარი)**

**2015 წელს — 38,424 ტონა (10,763 მლნ აშშ დოლარი).**

# ზამთრის ტურიზმს პრობლემები არა და არ შორდება!



**ზამთრის ტურისტული სეზონი გარდამავალი პრობლემებით მიმდინარეობს. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება იმის თქმა, რომ ვითარება შარშანდელზე უკეთესია, მაგრამ სხვადასხვა პრობლემები — ვირუსის ახალი შტამიდან დაწყებული, ინფრასტრუქტურით დამთავრებული — თავის დაღს ასვამს თეთრ ტურიზმს.**

გუდაურში მდებარე სასტუმრო „კუადრუმში" ჯავშნები თითქმის აღარ აქვთ და 22 ნომრიდან მხოლოდ 3-4 ნომერია დაჯავშნილი, ამის მიზეზი კი ვირუსის ახალი შტამია. როგორც სასტუმროს დამფუძნებელი **ირაკლი ერისთავი** აღნიშნავს, დეკემბერთან შედარებით იანვარში ჯავშნები დაახლოებით 60%-ით შეუმცირდათ.

„კუადრუმის" დამფუძნებლის თქმით, ფასები 30%-ით შეამცირეს, რადგან ახლა მისი ზრდა სასტუმროს ტურისტებს უფრო მეტად დააკარგვინებს. არც სასტუმრო „ნიუ გუდაური" არის უკეთეს მდგომარეობაში. როგორც იქ აღნიშნავენ, დატვირთვა თავიდან ბევრად მაღალი იყო, თუმცა კორონავირუსის აფეთქებამ კურორტი დაცალა და დამსვენებლების გარეშე დატოვა.

**„ახალი წლის დღეებში, ცხადია, დატვირთულობა ძალიან მაღალი იყო, მაგრამ ასე რომ ვერ გაგრძელდებოდა მთელი სეზონი, ესეც ცხადია. დაახლოებით, 4 იანვრიდან დაიწყო ეპიდვითარების დამძიმება, ნელ-ნელა დაიცალა სასტუმრო. ეტაპობრივად უდასტურდებოდათ ჩვენს სტუმრებს კოვიდი. როგორც ვიცი, ანალოგიური მდგომარეობაა სხვა განთავსების ობიექტებშიც",** — განაცხადეს „ნიუ გუდაურში".

შედარებით უკეთესი ვითარებაა სვანეთში, მაგრამ იქ მდგომარეობას სულ სხვა პრობლემა ართულებს. სასტუმრო „გისტოლას" დამფუძნებლის **ირაკლი გურჩიანის** თქმით, 20 დეკემბრისთვის სვანეთის სასტუმროების უმრავლესობა თითქმის 100%-ით წინასწარ იყო დაჯავშნილი, 22-23 დეკემბრიდან კი რეგიონი დაცარიელდა. ამის მიზეზი რეგიონში კრიპტომაინინგით გამოწვეული პრობლემებია, რომელმაც სვანეთი ენერგოკოლაფსის წინაშე დააყენა.

**„ტერორისტული აქტის ტოლფასი იყო ჩვენთვის, ის რაც მოხდა. ჩააბნელეს მთელი სვანეთი და გამომდინარე იქიდან, რომ გათბობის ერთადერთი საშუალება ელექტროენერგიაა, სასტუმროები გაიყინა. ვინც ჩამოსული იყო, წავიდა, ხოლო, ვინც სიახლე გაიგო, გააუქმეს ჯავშნები",** — განაცხადა გურჩიანმა.

იანვარში ტურისტებმა სვანეთში მოგზაურობა ნელ-ნელა დაიწყეს, თუმცა დამსვენებლების უდიდესი ნაწილი ადგილობრივია. ტურიზმის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი **მაია სიდამონიძე** ამბობს, რომ კოვიდის ახალი შტამი, რა თქმა უნდა, ხელის შემშლელი ფაქტორია ტურისტული სეზონისთვის. ხალხი უკვე თავს იკავებს მოგზაურობისაგან.

**„შარშანდელთან შედარებით, ბევრად უფრო პოზიტიური მდგომარეობაა, თუმცა, რა თქმა უნდა, ასეთ დროს ხალხი მაინც თავს იკავებს გადაადგილებისა და კურორტებზე მოგზაურობისგან. ამიტომაც, სანამ ეპიდმდგომარეობა არ დასტაბილურდება, ტურიზმის დარგის რეაბილიტაცია ვერ მოხერხდება",** — აღნიშნა მაია სიდამონიძემ.

**ბექა დანელია**


ჯუნა და არკადი რაიკინი

# ჯუნას ფენომენი: მოსკოვური ეპოპეა

**წინა წერილში უკვე აღვნიშნეთ, რომ ვიდრე ჯუნა დავითაშვილი მოსკოვში მოღვაწეობით გაითქვამდა სახელს, ხალხმა მისდამი მიძღვნილი ცნობილი რუსი პოეტების ლექსებიდან გაიცნო, მაგრამ, როცა ჯუნა თავად ჩავიდა მოსკოვში და პირველი დღეების აჟიოტაჟი რამდენადმე ჩაცხრა, ცხადი გახდა, რომ მისი იქ ჩასვლა, ცოტა არ იყოს, ნაადრევი იყო.**

ჯერ კიდევ 1980 წელს, თბილისში გამომავალ რუსულენოვან ჟურნალში, „ლიტერატურნაია გრუზიაში“, მწერალი რევაზ ჯაფარიძე ნარკვევში „მისტიკა თუ რეალობა?“ ერთმნიშვნელოვნად იძლეოდა პასუხს და ჯუნა დავითაშვილის მიერ ისეთ სერიოზულ დაავადებათა განკურნების შემთხვევებს აღწერდა, როგორებიცაა პროსტატა (წინამდებარე ჯირკვლის ანთება), კუჭის წყლული, ხელ-ფეხის ტრემორი (კანკალი) ანუ პარკინსონის სნეულება), ქვედა კიდურების დამბლა და სხვ.

ავტორი ოპტიმისტურად იმედს გამოთქვამდა, რომ ვინაიდან რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრომ ჯუნა დავითაშვილის ფენომენისადმი ყურადღება გამოიჩინა და მისი შემსწავლელი კომისია გამოყო, მოკლე დროში თბილისში ბიოელექტრონიკის პრობლემების შემსწავლელი ლაბორატორიაც გაიხსნებოდა, მაგრამ... ჯანდაცვის სამინისტროს კომისიის დასკვნა კატეგორიული იყო: **არანაირ ფენომენს ჯუნა არ წარმოადგენს, განკურნვის ცალკეული შემთხვევები კი შთაგონებით აიხსნება.** სწორედ ამ დასკვნის შემდეგ იყო, რომ ჯუნამ ვაჟიშვილთან ერთად ბედის ცდა მოსკოვში გადაწყვიტა.

საკუთარი არაჩვეულებრივი უნარის შესახებ თხრობისას, ჯუნას ჟურნალისტებთან გამოსვლაში უთქვამს:

– როცა ხელებს ადამიანის სხეულის გასწვრივ ვატარებ, თითებში სხვადასხვაგვარი შეგრძნებები მიჩნდება: ეს ზოგჯერ ჩხვლეტებია, ხან სითბოს შეგრძნება, ხანაც სიცივისა... მაგალითად, ავთვისებიანი სიმსივნე ხელში მკვეთრი სიცივის შეგრძნებას მიჩენს...

ჟურნალისტთა თვალწინ მას ქრილობა მოუშუშებია, რომელიც მანამდე არაფრით არ ხორცდებოდა. პრესაში ასევე იყო ცნობა იმის შესახებაც, რომ ერთხელ მან კუჭის წყლული 15 წუთში მოარჩინა.

* * *

**პირველად ჯუნა მოსკოვში, საკუთარ ბინაში ვნახე: ტანკენარმა, საშუალოზე მაღალმა ქალმა, რომელიც ბოშას ჰგავდა, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მოუსვენრობით, ტემპერამენტით, სიცოცხლის ძალით დამუხტულობით. პაციენტები უწყვეტ ნაკადად მოდიოდნენ, ჯუნა თითოეულს სულ რამდენიმე წუთს უთმობდა. ზოგს ფეხზე მდგარს უტარებდა სეანსებს, ზოგს სავარძელში სვამდა, ზოგს ერთ წუთს უთმობდა, ზოგიერთს – ხუთს, თან გამუდმებით ლაპარაკობდა ტელეფონით – ხან რუსულად, ხან ქართულად, ხან ასირიულად. მაგრამ ყურადღებას ყველას ერთნაირად აქცევდა...**

– მომეცით კათედრა და ინსტიტუტი! მინდა თვალი ავუხილო მედიკოსებს! – მძვინვარედ შეუტია ერთხელ ჯუნამ ჟურნალისტებს, რომლებიც სახტად დარჩნენ: დიაგნოსტირება და მკურნალობა, ვთქვათ, გასაგებია, მაგრამ ერთბაშად კათედრა და ინსტიტუტი, რა ამბავია?!

ლევ კოლოდნი ამბობს, რომ ის აურზაური, რომელიც მის სახლში დახვდა, ცოტა არ იყოს, მის წარმოსახვაში ვერაფრით ეწყობოდა განკურნვის იდუმალებას.

„ამიტომ, როცა ცალკე ოთახში გამიხმო და ორი საათი ვისაუბრეთ, საშუალება მომეცა მის შესახებ უფრო დალაგებული შთაბეჭდილება შემქმნოდა. ის, რასაც მეუბნებოდა, შემეძლო დამეჯერებინა, ანდა არ მერწმუნა, მაგრამ, როცა უცბად თვალებში ჩამხედა და მითხრა, მარჯვენა მარცხენაზე სუსტ იმპულსს იძლეოდა, მაშინ კი გავოგნდი: თვალით იმის დანახვა, რომ თანდაყოლილი ასტიგმატიზმის შედეგად მარჯვენაზე -0,1 მაქვს, შეუძლებელი იყო!

სახლში მიბრუნებულმა ნარკვევი, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით დავწერე და შევინახე, მეორე დღეს კი ჯუნას გაუფრთხილებლად, მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ შინდაბრუნებული მეუღლე და ქალიშვილი წავუყვანე: გოგონა სიყვითლის სამკურნალოდ მყავდა გაშვებული. ჩვენი სტუმრობა ჯუნას არ გაჰკვირვებია, მეუღლე და ბავშვი წინ დაისვა, მერე ჯერ ცოლს უამბო მისი ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ, შემდეგ კი გოგონას მიუბრუნდა: – ღვიძლი აქვს გადიდებული, ჰეპატიტი ახალი გადატანილი გაქვს, რომელიც დაუდევრობით შეგყარესო, უთხრა.

არადა, ეს სრული სინამდვილე იყო: ჩემი ქალიშვილი რამდენიმე თანაკლასელთან ერთად სკოლაში აცრის გაკეთების დროს დაავადეს! გარდა ამისა, ჯუნამ სხვათა შორის შენიშნა, რომ ბავშვს ყელი სტკიოდა, რაც ასევე შეესაბამებოდა სიმართლეს – ტონზილიტი პატარას მოსვენებას არ აძლევდა!

მოკლედ, ჯუნასთან ერთი თვე ვიარეთ, რის შემდეგ ჩემი გოგონას ღვიძლი კვლავ ნორმაში ჩადგა, პოლიკლინიკის ექიმი კმაყოფილი დარჩა, – ხომ გეუბნებდოით, სანატორიუმში მკურნალობას აუცილებლად დადებითი შედეგი მოჰყვებაო!

ამასთანავე, ჯუნამ ჩემს მეუღლესაც უშველა, რომელიც მარილების დაგროვებას უჩიოდა“.

* * *

**„უნდა ითქვას, რომ პაციენტების მიღებისას ჯუნა არავითარ ჩანაწერებს არ აკეთებდა, მაგრამ ბევრი მადლიერი ავადმყოფი თავის გამოხმაურებას უტოვებდა და როცა ჯუნას შევხვდი, ისინი საკმაოდ იყო დაგროვილი. ჯუნამ მათი ასლები გააკეთა და ბროშურად გამოსცა, რომელიც დღესაც ჩემთან ინახება“, – წერს ლევ კოლოდნი. ესაა საყურადღებო საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ხელის დადებით მკურნალობას ეხება. თანაც, გარდა გამოხმაურებებისა, მასში ბევრია რენტგენული სურათი, კარდიოგრამა, ონკოლოგიურ დაკვირვებათა შედეგები, თერმოვიზორის ეკრანიდან გადაღებული ფოტო, მოკლედ, ობიექტური ჩვენება.**

მაგრამ, „ჯუნას ეფექტი“ ყველაზე მკაფიოდ ბავშვების თანდაყოლილი სიელმის განკურნვისას იჩენდა თავს... ამ ავადმყოფობის მკურნალობას ჩვეულებრივ, მას შემდეგ იწყებენ, რაც ბავშვები წამოიზრდებიან, თანაც პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია. ერთი შემთხვევის მომსწრე მწერალი თავადაც გამხდარა: ჯუნა ბავშვს ხელებს სახესთან უტარებდა ისე, რომ ბავშვს არ შეხებია, თითქოს ჰაერში ეფერებოდა. მერე კი როცა ბავშვს თვალებში ჩახედეს, პატარა სრულიად ჯანმრთელი მზერით იცქირებოდა და იღიმოდა... ჯუნას მკურნალობის შედეგი სრულიად აშკარა იყო. ამასთან, ცნობილია, რომ ჩვილები შთაგონებასა და ჰიპნოზს არ ექვემდებარებიან, თანაც თვალებზე ასეთი ზემოქმედება საერთოდ გამორიცხულია, მით უმეტეს, რომ რამდენიმე თვის ასაკში სიელმეს არც კურნავენ. მაშასადამე, გამოდის, რომ ამ შემთხვევის ახსნა მხოლოდ ჯუნას მკურნალობით შეიძლება, რომლის მსგავსი კიდევ მრავლად ყოფილა.

* * *

**ვნახოთ, რა წერია ამ შთაბეჭდილებათა წიგნში.**

პირველმა, ვინც ჯუნა დავითაშვილი პაციენტების სამკურნალოდ „მიუშვა“, მოსკოვის კრასნოპრესნენსკის ოლქის 112-ე პოლიკლინიკა იყო, სადაც მან 11 ავადმყოფს უმკურნალა, რომელთაც ხერხემლის ნევროლოგიური ოსთეოქონდროზი, მწვავე პლექსიტი და რადიკულიტი აწუხებდა. სამედიცინო დასკვნაში კი წერია: **„აღინიშნება გამოყენებული მეთოდის ეფექტი: ტკივილის სინდრომი იხსნება პირველივე სეანსის შემდეგ... ჯ. დავითაშვილის მიერ გამოყენებული მეთოდი დიდ თეორიულ და პრაქტიკულ ხერხს წარმოადგენს და სამედიცინო პრაქტიკაში პრაქტიკულ გამოყენებას იმსახურებს“.**

ასეთივე დასკვნა დადო გოსპლანის პოლიკლინიკის მთავარმა ექიმმა ი. ჩუკმაჩევამ, ამავე აზრზე იყვნენ ცნობილი ფიზიკოსი ა. სპირკინი, ფიზიკოსი, აკადემიკოსი რ. ხოხლოვი...

სპეციალისტების ასეთი გამოხმაურების შემდეგ ჯუნასთვის თითქოს ყველა გზა ხსნილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ... იყვნენ სხვებიც – მაგალითად, ორი აკადემიის აკადემიკოსი ი. კოზმარევი, რომელმაც ჯუნა დავითაშვილს „კაბიანი რასპუტინი“ უწოდა.

* * *

მოსკოვში ჯუნა ბევრ ცნობილ ხელოვანს დაუახლოვდა, ზოგს შვება აგრძნობინა, ზოგსაც ვეღარაფრით უშველა, რადგან დახმარებამ დაიგვიანა... ასე იყო ვლადიმერ ვისოცკისთან, რომელმაც იგი ცნობილ ბერძენ წინასწარმეტყველ კასანდრას შეადარა, რომლისაც თანამედროვეებს არ სწამდათ, ვიდრე ტროა მართლაც არ დაეცა. განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა მას არკადი რაიკინთან, რომელმაც შვება პირველივე სეანსიდან იგრძნო: **„მე ვლოცავ მას! ესაა საუცხოო მკურნალი და რასაც აკეთებს, საოცრებაა!“** – წერდა იგი. ბევრი ლამაზი სიტყვა მიუძღვნა ჯუნას დიდმა დაღესტნელმა პოეტმა რასულ გამზათოვმა: **„როცა თქვენთან მოვედი, ლექსის პწკარედს ვგავდი, რომელსაც აკლდა რითმა, რიტმი, სადაც დარღვეული იყო სასიმღერო სიტყვების ჰარმონია, სილამაზე და მელოდია. თქვენგან კი როგორც ორიგინალური თარგმანი ისე წავედი, თქვენ დამიბრუნეთ პოეზიის ცოცხალი სული და მომაცილეთ შებოჭილობა...“**

სკეპტიკურად განწყობილმა კაცმა, ა. რაიკინისა და რ. გამზათოვის სიტყვების კითხვისას, შეიძლება თქვას, რომ ორივე არტისტული ნატურა იყო – მსახიობიც და პოეტიც – ამდენად, სხვისი გავლენის ქვეშ ადვილად ექცეოდაო. მაგრამ, თავად არკადი რაიკინმა თითქოს განჭვრიტა მავანთა ასეთი სკეპტიკური რეაქცია: **„იგი ჰიპნოზს არ მიმართავს, არამედ ავადმყოფის ბიოველზე საკუთარი ბიოველით მოქმედებს“**, – ესაა მისი სიტყვები.

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №12**


ანდრეი ტარკოვსკისთან ერთად

## ჯონი დეპი – ლუდოვიკო XV



**ამერიკელი მსახიობი ჯონი დეპი ფრანგი რეჟისორისა და მსახიობის მაივენის ახალ ფილმში საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მე-15 როლს შეასრულებს. სურათის სახელწოდება და სიუჟეტი ამ ეტაპზე უცნობია. გადაღებები პარიზში 2022 წლის ზაფხულში დაიწყება და სავარაუდოდ 3 თვე გაგრძელდება. ფილმის რეჟისორი გრაფინია ჟანა დიუ ბარის როლსაც შეასრულებს, რომელიც მეფის უკანასკნელი საყვარელი იყო.**

**ჯონი დეპის კარიერაზე უარყოფითად აისახა მისი ყოფილი ცოლის, ემბერ ჰერდის ბრალდებები ოჯახურ ძალადობაში. ამის გამო მან „ფანტასტიკურ ცხოველებში“ გრინ-დე-ვალდის როლი დაკარგა. თუმცა ევროპაში მსახიობისადმი დამოკიდებულება კვლავ დადებითია. შარშან მან არაერთი ევროპული კინოფესტივალის საპატიო ჯილდო მიიღო.**

## დაბერების წინააღმდეგ...



**სტარტაპმა Alto Labs, რომლის მიზანიც ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებაა, მუშაობა დაიწყო. სტარტაპმა, რომელსაც ამერიკელი მილიარდერი ჯეფ ბეზოსი აფინანსებს „უკვდავების ტექნოლოგიის“ შექმნისთვის იდეის გარშემო პროფესიონალები გააერთიანა. სტარტაპმა ინვესტორებისგან პირველ ეტაპზე 3 მილიარდი დოლარი მიიღო. ჯეფ ბეზოსის გარდა, იდეის განვითარებაში თანხა ჩადო Mail.ru-ს ჯგუფის თანამფლობელმა იური მილნერმა. პროექტის ძირითადი მიზანია ადამიანის გაახალგაზრდავება და დაბერების პროცესთან დაკავშირებული დაავადებების აღმოფხვრა.**

## რობოტი-მტვერსასრუტი სამსახურიდან „გაიქცა



**რობოტი-მტვერსასრუტი, რომელიც კემბრიჯში, სასტუმრო Travelodge-ში იყო დასაქმებული, სამსახურიდან „გაიქცა“. რობოტი, სხვა მტვერსასრუტებისგან განსხვავებით სასტუმროს შესასვლელ კართან არ გაჩერდა და გაურკვეველი მიმართულებით განაგრძო მოძრაობა. სასტუმროს თანამშრომლებმა დახმარებისთვის ინტერნეტ-მომხმარებლებს მიმართეს.**

**„დღეს მტვერსასრუტი გაგვექცა. ჩვეულებრივ კართან ჩერდებიან ხოლმე, მაგრამ ამან გაქცევა გადაწყვიტა“, – დაწერა Twitter-ზე სასტუმროს თანამშრომელმა. ამ ამბავმა სოციალურ ქსელებში დიდი რეზონანსი გამოიწვია. მომხმარებლები მამაც მტვერსასრუტს მხარდაჭერას უცხადებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ბრიტანულ ეკოსისტემაში არ არსებობს მტაცებელი, რომელიც მას გაუმკლავდებოდა. ზოგი კი დარწმუნებული იყო, რომ მტვერსასრუტი ქვეყნიდან წავიდოდა.**

**თუმცა რამდენიმე დღეში რობოტი სასტუმროს ტერიტორიაზე, ბუჩქებში აღმოაჩინეს. ის გარეცხეს და სამსახურში დააბრუნეს. ინტერნეტ-მომხმარებლებს ისტორიის ასეთმა ფინალმა იმედები გაუცრუა.**

მოვლენის შემდეგ

# ელისანდრო: „სწორედ ასეთი მომენტებისთვის ვწირავთ ფეხბურთელები საკუთარ თავს“



**საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველ ტურში აზერბაიჯანის გ;უნდი 3:2 დაამარცხა და ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. მატჩის შემდეგ ჩვენმა ფეხბურთელებმა ასეთი კომენტარი გააკეთეს.**

ირაკლი თოდუა (საქართველოს ფუტსალის ნაკრების წევრი): **„მინდა, ყველას მივულოცო ეს გამარჯვება. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი და ფუტსალის გამარჯვება. ევროპის ჩემპიონატზე საქართველო წარვადგინეთ და ჩვენი სახელი გავიტანეთ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო სასტარტო თამაშის მოგება, თუმცა ვაანალიზებთ, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. საოცარი ემოციები იყო და ვეცდებით, რომ ხვალიდან შემდეგ თამაშზე მოვახდინოთ კონცენტრირება“.**

შაგინია (საქართველოს ფუტსალის ნაკრების წევრი): **„ყოველთვის ვოცნებობდი მონაწილეობა მიმეღო ასეთი დონის ტურნირზე. გამარჯვებით დაწყება შესანიშნავია. მატჩის დებიუტში გაშვებულმა გოლებმა ჩვენზე ვერ იმოქმედა, სიმშვიდე შევინარჩუნეთ და ხარისხიანი თამაშით სასურველ შედეგს მივაღწიეთ“.**

ელისანდრო (საქართველოს ფუტსალის ნაკრების წევრი): **„საოცარი შეგრძნებაა. გავიტანე პირველი გოლი და ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ისტორიაში პირველი გამარჯვების მოპოვებაში დავეხმარე. სწორედ ასეთი მომენტებისთვის ვწირავთ ფეხბურთელები საკუთარ თავს“.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფუტსალის ნაკრები მეორე ტურში ბოსნიის ნაკრებს ხვალ ეთამაშება.

მემორიალი

# „ქუთაისი“ ფინალშია



**ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალის ფინალში მისი შარშანდელი გამარჯვებული „ქუთაისი“ გავიდა. იმერულმა კლუბმა ნახევარფინალში დამაჯერებლად — 93:63 დაამარცხა „ბათუმი“ და ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების სახელობის წოდებას დაიცავს. კოტე ტუღუშის გაწვრთნილ ქუთაისელთა სატიტულო მეტოქე „ვერასა“ და „მეგას“ დაპირისპირებაში გადაწყდება.**

ქუთაისელებს მხოლოდ პირველ პერიოდში გაუჭირდათ. მართალია, საწყისი პერიოდიც მოიგეს, თუმცა „ბათუმი“ სოლიდურ წინააღმდეგობას უწევდა და პირველ 2-წუთიან შესვენებაზე სხვაობა მხოლოდ 2 ქულა იყო, მეორე პერიოდიდან კი იმერულმა კლუბმა თამაშზე სრული კონტროლი დაამყარა, სადავეებს დაეპატრონა და უპირატესობა ანგარიშშიც ასახა. ათწუთეული ქუთაისელებმა 26:17 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 11-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ. ბათუმელებს სურდათ, თამაშში გარდატეხა შეეტანათ, მაგრამ ქუთაისელთა გონივრული თამაშის გამო ეს ვერ შეძლეს. რაც დრო გადიოდა, იმერული გუნდი უპირატესობას ზრდიდა და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ტუღუშის გუნდმა 30 ქულის სხვაობით იმარჯვა. ქუთაისელთაგან საუკეთესო შედეგი **აკაკი დვალიშვილმა** დააფიქსირა — 17 ქულა, 13 მოხსნა. ბომბარდირი **სტივენ ფლეჯერი** გახდა 18 ქულით, ხოლო 10 ქულა და 14 მოხსნა **გიორგი კორსანტიამ** მოაგროვა, ბათუმელთაგან 20 ქულით საუკეთესო იყო **ბექა ბექაური,** 15 ქულა კი **რევაზ ჩაჩანიძის** ანგარიშზეა.

სუმო

# ელიტაში დარჩა



**ლევან გორგაძემ ჰაცუ ბაშო უარყოფითი ბალანსით დაასრულა. ქართველმა სუმოისტმა წლის პირველი სუპერტურნირის ბოლო საშეჯიბრო დღემდე 7 გამარჯვებითა და ამდენივე მარცხით მიაღწია, ფინიშზე კი მე-2 მაეგაშირა იჩინოჯოს შეხვდა და იორიკირის ილეთით დამარცხდა.**

აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც ტოჩის, ისე ჩვენებურის მეტოქეს 7:7-ზე ბალანსი ჰქონდათ და გამარჯვება ორივე მათგანს ძალიან სჭირდებოდა. ორთაბრძოლა ლევანის უპირატესობით დაიწყო. მან მავაშში ხელის ჩავლება და იჩინოჯოს დოჰიოს კიდისკენ გაყვანა სცადა, მაგრამ საბოლოოდ ხანგრძლივი დაპირისპირების შედეგად მის მიღმა თავად აღმოჩნდა.

ეს წყვილის 26-ე დაპირისპირება იყო, რომელთაგანაც გორგაძეს 16 მოგებული აქვს, ხოლო 10 შეხვედრაში დამარცხდა. ამრიგად, ტოჩინოშინმა იანვრის ბაშო 7 მოგებითა და 8 წაგებით დაასრულა, თუმცა ელიტაში ადგილის შენარჩუნება მაინც შეძლო, რადგან დადებითი ბალანსის შანსი ბოლო დღემდე ჰქონდა. გარდა ამისა,ბოლო სამი შეხვედრიდან 2 მოიგო. ადგილის შენარჩუნების მიუხედავად, ჩვენებურს რეიტინგში მაინც დააქვეითებენ.

კრიმინალი

# რაც დათესა...



**ცნობილი გახდა, რომ რომის სასამართლომ ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელს რობინიოს საბოლოო ჯამში მაინც მძიმე სასჯელი შეუფარდა და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. არადა, რობინიოს ადვოკატებს იმედი ჰქონდათ, რომ იტალიის სასამართლო გულმოწყალე იქნებოდა.**

ერთ დროს „მილანში“ მობურთალ ბრაზილიელ ვარსკვლავს ბრალი მილანის ერთ-ერთ ღამის კლუბში 22 წლის ალბანელი ქალის ჯგუფურ გაუპატიურებაში ედებოდა. 2017 წლიდან საქმის გასაჩივრების პროცესი წარმოებდა, თუმცა რომის სასამართლომ რობინიო დამნაშავედ ცნო.

ძალადობაში დადანაშაულებული ფეხბურთელების ციხეში გამოკეტვა ხშირად მომხდარა, მაგრამ ცხრაწლიანი სასჯელი მაინც განსაკუთრებულად მძიმეა. შეგახსენებთ, რომ რობინიო კარიერის განმავლობაში მადრიდის “რეალის“, “მანჩესტერ სიტისა“ და ჩვენს მიერ ხსენებული „მილანის“ რიგებში თამაშობდა

ფორმულა – 1

# უარი სპრინტს!

**არაა გამორიცხული, რომ ფორმულა 1-ის 2022 წლის სეზონი სპრინტერული საკვალიფიკაციო რბოლების გარეშე ჩატარდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ გუნდები ამ ფორმატს არ დათანხმდებიან.**

სპრინტერული კვალიფიკაციები, სულ სამი, პირველად შარშან მოეწყო და დიდი ინტერესი გამოიწვია. ახალი სეზონისთვის ასეთი რბოლების რიცხვის გაორმაგება იგეგმება. მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ ათიდან რვა გუნდმა თანხმობა განაცხადოს.

„მაკლარენის“ შეფი **ზეკ ბრაუნი** ფიქრობს, რომ რვა გუნდისგან თანხმობის მიღება რთული იქნება, რაზეც მათ თავიანთი მყარი არგუმენტები აქვთ. საქმე ისაა, რომ სპრინტერულ რბოლებში მონაწილეობა გუნდების ხარჯებს ზრდის. ამასთან, იზრდება მანქანების დაზიანების შანსი, მათ კი გასულ სეზონში ფ-1-სგან საკმარისი კომპენსაცია არ მიუღიათ.

ბრაუნის თქმით, სპრინტერულ რბოლებზე დათანხმების სანაცვლოდ გუნდების ნაწილი საბიუჯეტო ჭერის გაზრდას მოითხოვს. თანხმობის არმიღების შემთხვევაში ისინი სპრინტერული რბოლების გამართვას არ დათანხმდებიან.

თუ ფორმულა — 1 საწადელს ვერ მიაღწევს, მაშინ სპრინტების დაბრუნებას 2023 წლის სეზონში ეცდება, ამჯერად კი გუნდების ნახევრის თანხმობაც საკმარისი იქნება.

თუ სპრინტ-რბოლების რიცხვი გაიზარდა, ასეთი რბოლები ბაჰრეინის, ემილია რომანიას, კანადის, ავსტრიის, ჰოლანდიისა და ბრაზილიის დიდ პრიზებზე გაიმართება. ფორმულა 1-ის ახალი სეზონი სტარტს 20 მარტს ბაჰრეინში აიღებს.




რალი

# ლოების მონტე-კარლო

**მონტე-კარლოში სტარტი აიღო რალის მსოფლიო ჩემპიონატმა, რომლის პირველ ეტაპზეც გამარჯვება ფრანგმა სებასტიან ლოებმა მოიპოვა. მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი 47 წლისაა და გახდა რალის მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპების ყველაზე ხნიერი გამარჯვებული.**



ლოებმა (M-სპორტ ფორდი), ვინც ახლახანს დაკარის რალი-მარათონი მეორე ადგილზე დაასრულა, 2020 წლის შემდეგ რალის მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე იასპარეზა. ეს მონტე კარლოში მისი მერვე გამარჯვებაა, რითაც თავისი თანამემამულის, რვაგზის მსოფლიო ჩემპიონ სებასტიან ოჟიეს რეკორდი გაიმეორა.

ლოებიც და ოჟიეც (ტოიოტა) მიმდინარე სეზონის რამდენიმე რბოლაში გამოსვლას გეგმავენ და შესაბამისად, ტიტულისთვის ბრძოლა მათს გეგმებში არ შედის.

ბოლოსწინა ეტაპზე ლიდერი ოჟიე იყო, ვინც ლოებს დაახლოებით ნახევარ წუთს უგებდა და თითქმის გარანტირებული ჰქონდა გამარჯვება, მაგრამ, სამწუხაროდ, წინა მარცხენა ბორბალი დაეშვა. ამით ლოებმა ისარგებლა და დაწინაურდა, ბოლო ეტაპზე კი ლიდერობა ხელიდან აღარ გაუშვა. საბოლოოდ მან ოჟიეს 10.5 წამით აჯობა.

**„ძალიან მიხარია. ამ რბოლაში ბევრს არაფერს ველოდი, მაგრამ შესანიშნავი ბრძოლა გამოგვივიდა. ოჟიე ძალიან სწრაფი იყო, მე კი გუშინ და დღეს დილით პრობლემები მქონდა“,** — განაცხადა ლოებმა. რბოლა მესამე ადგილზე დაასრულა ლოების ირლანდიელმა თანაგუნდელმა კრეიგ ბრინმა.

ლოებს მონტე-კარლოში ნავიგატორად ქალი თანამემამულე, მათემატიკის მასწავლებელი იზაბელ გალმიში ჰყავდა, ვინც 1997 წლის შემდეგ რალის მსოფლიო ჩემპიონატზე კვარცხლბეკზე ასული პირველი ქალი სპორტსმენია. 25 წლის წინათ ეს იტალიელი პიერო ლიატის ნავიგატორმა ფაბრიცია პონსმა ასევე მონტე-კარლოს რალიზე შეძლო.

ლოებმა კარიერაში მსოფლიო ჩემპიონატზე მე-80 რბოლა მოიგო. ამასთან ეს მისი პირველი გამარჯვებაა 2018 წლის შემდეგ, როცა სიტროენის მანქანით ასპარეზობდა. რალის მსოფლიო ჩემპიონატის მომდევნო ეტაპი შვედეთში 24-27 თებერვალს ჩატარდება.

# ჩინებული შემოქმედი

## თამაზ ნატროშვილის ხსოვნას

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე **თამაზ გიორგის ძე ნატროშვილი**.



ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ჩინებული შემოქმედი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ამშვენებდა ქართულ მწერლობას, ამდიდრებდა რა მას პირველხარისხოვანი პროზაული, ესეისტური და ისტორიოგრაფიული ნაწარმოებებით.

თამაზ ნატროშვილი დაიბადა 1937 წლის 20 მაისს თბილისში გამოჩენილი ქართველი მწერლის გიორგი ნატროშვილის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1955 წელს თამაზ ნატროშვილი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1960 წელს დაასრულა. მას შემდეგ იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ კრიტიკის განყოფილების რედაქტორად, „ილიონის“ გამოცემების მთავარი რედაქტორის მოადგილედ, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ თარგმანების განყოფილების რედაქტორად, სადაც არ უნდა ემუშავა, ყველგან ჭეშმარიტი პროფესიონალიზმითა და საქმის ცოდნით გამოირჩეოდა...

თამაზ ნატროშვილის სამწერლო ხელდასხმა 1958 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა „ხვალ თოვლი იქნება ხეობაში“. მალე მისი პირველი პროზაული კრებული „გამოღვიძება“ გამოიცა და ასე დაიწყო მწერლის საყურადღებო და მრავალწახნაგოვანი ცხოვრება...

თამაზ ნატროშვილი განსაკუთრებული წარმატებით მუშაობდა ისტორიული ესეისტიკის ჟანრში. მომთხოვნი და გემოვნებიანი ქართველი მკითხველი მუდამ ცხოველი ინტერესით ეცნობოდა მის ისეთ წიგნებს, როგორიცაა „წელი ერთი და ათასი“, „დაღათუ იყო სიკვდილი“, „ახსოვდა თუ არა საქართველო“, „მოყვასი შორეული რომიდან“, „მაშრიყით მაღრიბამდე“. განსაკუთრებული წარმატება ამ უკანასკნელს ხვდა წილად, რომელმაც სამ გამოცემას გაუძლო და უცხოურ ენებზეც ითარგმნა...

თამაზ ნატროშვილი იმ მდინარეს წააგავდა, რომელიც რაც უფრო ღრმაა, ნაკლებს ხმაურობს. არც მას უყვარდა ხმაური, ამქვეყნიური ალიაქოთი, რაც ჭეშმარიტი ერისკაცების გამორჩეული თვისებაა...

სწორედ ასეთად დაამახსოვრდებათ თამაზ ნატროშვილი, თხემით ტერფამდე დახვეწილი მამულიშვილი, შემოქმედი და მეცნიერი მის თანამოკალმეებს, მისი მრავალწახნაგოვანი შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

---

უხილავად სიკვდილის ცელის მქნეველმა კოვიდ-19-მა, თანამედროვე შავმა ჭირმა, კიდევ ერთ ღირსეულ ქართველს თამაზ ნატროშვილს მოუსწრაფა სიცოცხლე. იგი იყო თვალსაჩინო მწერალი-ისტორიკოსი, ქართული პატიოსნებით აღსავსე პიროვნება, ცნობილი მეოცესაუკუნელი მწერლის გიორგი ნატროშვილის ვაჟი, ჩვენი გაზეთის მუდმივი სასურველი ავტორი (რომლის ფრიად საყურადღებო ნარკვევები ლაშა გიორგაძის ფსევდონიმით (ალონიმით) იბეჭდებოდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ბოლო წლებში), „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იუწყება უკეთილშობილესი ადამიანის

## თამაზ ნატროშვილის

გარდაცვალებას, რომელიც ნამდვილად დააკლდა ქართულ მწერლობას, მთელ ჩვენს საზოგადოებას და გულისტკივილით უსამძიმრებს განსვენებულის მეუღლეს ქეთევან ტომარაძეს, ნათესავებს, ახლობლებს, მეგობრებს.

# ქეთევან კოტეტიშვილის ხსოვნას



გარდაიცვალა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ქეთევან კოტეტიშვილი**.

ქალბატონი ქეთევანი წლების განმავლობაში თავდადებით და ერთგულად ემსახურებოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, მის სახელოვან ტრადიციებს და, რაც მთავარია, ახალი თაობის პროფესიონალებად აღზრდასა და ჩამოყალიბებასა .

ქეთევან კოტეტიშვილი დაიბადა 1960 წლის 22 იანვარს ქ. თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. 1981-1983 წწ. მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მყარი სხეულების ფიზიკის კათედრაზე მეცნიერ-თანამშრომლად. 1982 წლიდან დღემდე კი — საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც გაიარა გზა ასისტენტიდან პროფესორის თანამდებობამდე.

მისი კვლევის მიმართულება იყო სამედიცინო ფიზიკა. კონკრეტულად ადამიანის თავის ტვინის კვლევა ტრავმული დაზიანებებისას, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის ახალი ბიომარკერების კვლევა და გამოყენება, მრტ-ს სპექტროსკოპული მეთოდოლოგიის განვითარება, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის ექსპერიმენტული მეთოდების გაუმჯობესება, თანამედროვე არაგაუსური დიფუზიური გამოსახულებების მეთოდების შემუშავება ადამიანის თავის ტვინის გამოსაკვლევად, მრტ-ში გამოსახულების მიღებისას აღძრული შორეული დიპოლური მაგნიტური ველის გავლენის დადგენა სპინ-ექო მიმდევრობაზე და მრტ-გამოსახულების სრულყოფისათვის.

ქალბატონი ქეთევანი იყო ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების „საინჟინრო ფიზიკა“ და „სამედიცინო ფიზიკა“ — ხელმძღვანელი; საქართველო გერმანიის სამეცნიერო ხიდის ერთ-ერთი დამფუძნებელი და იულიხის კვლევითი ცენტრისა და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი პროგრამების კოორდინატორი და დამფუძნებელი („ქართულ-გერმანული სკოლა“ და „შემოდგომის ლექციები თბილისში“) საქართველოში; ამერიკის შეერთებული შტატების ელექტრონიკისა და ინჟინერიის ასოციაციის (IEEE) წევრი და რეცენზენტი; საერთაშორისო ჟურნალ Journal of Pharmaceutical and Applied Chemistry სარედაქციო საბჭოს წევრი; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ექსპერტი; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტი; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საავტორიზაციო საბჭოს წევრი.

ქეთევან კოტეტიშვილი ავტორია სახელმძღვანელოების, სამეცნიერო ნაშრომების, მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

სიცოცხლის მოყვარული, მებრძოლი, თავისი საქმის უდიდესი პროფესიონალი, ობიექტური და უღალატო, ერთგული მეგობარი, კაცთმოყვარე და უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, სტუდენტთა ინტერესების გამომხატველი და დამცველი.

ქალბატონი ქეთევანის სახელი დიდხანს იცოცხლებს მეგობრების, ახლობლების, კოლეგების და მისი აღზრდილების გულებში.

უფალმა დაამკვიდროს ქალბატონი ქეთევანის უკვდავი სული, სადაც მართალნი განისვენებენ.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

# გაფრთხილება არავაქცინირებულთათვის

**ოთხი ინფორმაცია და სამი გრაფიკი მათთვის ვისაც „ომიკრონი“ არაფრად მიაჩნია, ჰგონია რომ ვირუსის გადატანა უკეთესია, ვიდრე ვაქცინაცია, რომ გართობა და წაყრუება დაიცავს ქვეყანას ხანგრძლივი კოვიდის პრობლემებისგან და რომ ერთი „პატიმრის“ ახირებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობა,** — ამის შესახებ ნორვეგიის სამეფოს ჯანდაცვის სამინისტროს უფროსი მრჩეველი ზაზა წერეთელი წერს.

**1) სპეციალისტებმა დაიწყეს საუბარი, რომ სამხრეთ აფრიკაში სიკვდილიანობა ძალიან იზრდება, შემთხვევების პიკიდან ერთ თვეზე მეტი ხნის შემდეგ. შესაძლოა რომ „ომიკრონი“ არ მიჰყვება ჩვეულებრივ 14-21 დღის ჩამორჩენას როგორც ეს სხვა შტამების ტალღებისთვის იყო დამახასიათებელი.**

**2) კვლევამ აჩვენა, რომ ომიკრონის ინფექცია აძლიერებს ვაქცინებით გამოწვეულ ადრე არსებულ იმუნიტეტს, მაგრამ თავისთავად ვერ იწვევს, ჯვარედინ მანეიტრალებელ იმუნიტეტს სხვა შტამების მიმართ არავაქცინირებულ ადამიანებში.**

**3) ვაქცინაცია ეხმარება „ომიკრონის“ წინააღმდეგ ორგანიზმის პასუხს. მიუხედავად იმისა, რომ ვაქცინირებულ პირებში ინფიცირების დასაწყისში „ომიკრონის“ წინააღმდეგ დადასტურდა თითქმის იდენტური და დაბალი ნეიტრალიზაცია, როგორც არავაქცინირებულში, მათი ნეიტრალიზაცია გარკვეული დროის შემდეგ გაცილებით უფრო მაღალია. ამიტომაც არის რომ ვაქცინირებულებში ეს ფორმა მიმდინარეობს უფრო ადვილად, და არა ის, რომ ზოგადად ომიკრონი ადვილი ფორმაა.**

**4) და ძალზე საყურადღებო, გასულ კვირას გამოჩნდა პირველი კვლევები, რომლებიც აჩვენებს, რომ ვირუსი შესაძლებელია აზიანებდეს T-უჯრედებს, ისევე, როგორც ამას აკეთებს შიდსის ვირუსი და შესაბამისად, იმუნური დეფიციტის პრობლემები შეიძლება წარმოიქმნას, როგორც ხანგრძლივი კოვიდის ერთ-ერთი ფორმა“,** — წერს წერეთელი.

**გაცნობებთ,** რომ ნოტარიუს თამარ ჩაფიძის მიერ (სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე; ქ. ქუთაისი ირ, აბაშიძის გამზ №7/25) მიმდინარეობს 14.01.2008 წელს გარდაცვლილი ნათელა ამბროლაძის (პ/ნ 21001020683) სამკვიდრო საქმის წარმოება, მემკვიდრეები ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამოცხადდით აღნიშნულ სანოტარო ბიუროში.

ნოტარიუსი
**თამარ ჩაფიძე**

სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენის“ ადმინისტრაციის პერსონალი გულისტკივილით უსამძიმრებს პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ბატონ სოსო თევზაძეს დის

## თეა თევზაძის

გარდაცვალების გამო.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98. მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

# „ლამაზი ანარეკლი“ საქართველოს საკუთრებაა



**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს ხელოვნების სასახლე — კულტურის ისტორიის მუზეუმი აგრძელებს ფონდების შევსებას, — ამის შესახებ კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი.**

ამჯერად, ხელოვნების სასახლემ შეიძინა ბრიტანული კომპანიის, **Artsonline**-ის მიერ შემოთავაზებული ნახატი გრაფ ოლდენბურგის კოლექციიდან. ეს არის პორტრეტი სახელწოდებით — „ლამაზი ანარეკლი“.

**„ამ შენაძენით, საქართველომ დაიბრუნა ნამუშევარი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის წინ იქნა ქვეყნიდან გატანილი. ძვირფასი ტილო დადიანებმა თავის დროზე პარიზიდან ჩამოიტანეს და ის ხელოვნების სასახლეში ანდრია დადიანის კოლექციაში ინახებოდა (ანდრია დადიანი 1903 წელს ამჟამინდელ ხელოვნების სასახლის შენობაში ცხოვრობდა).**

**საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, ქართველმა დიდგვაროვნებმა ბევრი რამ ქვეყნიდან გაიტანეს, ან უცხოეთში გაყიდეს თავის სარჩენად. ასე იმოგზაურა ნახატმა თბილისიდან კიევში და შემდეგ — ლონდონში.**

**2005 წელს ნამუშევარი კრისტის აუქციონზე გამოჩნდა, მაგრამ მაშინ ქართულმა მხარემ მისი შეძენა ვერ შეძლო. დღეიდან კი პორტრეტმა ხელოვნების სასახლეში დაიდო ბინა.**

**ნამუშევარი განსაკუთრებული და ორიგინალურია. ზეთში შესრულებული პორტრეტი დახატულია მე-19 საუკუნის ოსტატის, ფრანგი მხატვრის, შარლ-ლუი მიულერის მიერ (1815-1892). მიულერი იყო პორტრეტების ცნობილი მხატვარი და დეკორატორი, მეტსახელად მიულერ დე პარი.**

**მხატვარმა საკუთარი ნამუშევრების გამოფენა 1834 წლის ფრანგ მხატვართა სალონში დაიწყო და ტრადიციას არ ღალატობდა 1892 წლამდე.**

**განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სალონ დენონის ჭერისა და ლუვრის Salle des Etats-ს დეკორაციები. შემდგომში მიულერი მუშაობდა არქიტექტორ ჰექტორ ლეფუელთან, ნაპოლეონ III-სთვის ახალი ლუვრის შესაქმნელად“,** — ნათქვამია კულტურის სამინისტროს ინფორმაციაში.

## მინისტრები დაგვიკოვიდდნენ!

**მინისტრთა კაბინეტის ოთხ წევრს კორონავირუსი დაუდასტურდა. მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, კორონავირუსი დაუდასტურდათ საქართველოს თავდაცვის მინისტრს, ჯუანშერ ბურჭულაძეს, განათლების მინისტრს მიხეილ ჩხენკელს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს ლევან დავითაშვილს და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს ირაკლი ქარსელაძეს.**

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სიმხნევესა და მალე გამოჯანმრთელებას უსურვებს ოთხივე მინისტრს.

## „ომიკრონმა“ შესაძლოა, ევროპაში პანდემია დაასრულოს



**„ომიკრონმა“ კორონავირუსის პანდემია ახალ ფაზაში გადაიყვანა და ევროპაში შესაძლოა, პანდემიას ბოლო მოუღოს,** — ამის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული ბიუროს ხელმძღვანელმა, ჰანს კლუგემ განაცხადა. კლუგეს თქმით, სეზონურობის შემცირების, ადამიანების იმუნიტეტისა და აცრების შედეგად, თვეების განმავლობაში გლობალური იმუნიტეტი შეიქმნება.

**„ველოდებით, რომ იქნება სიმშვიდის პერიოდი. „კოვიდ-19“ წლის ბოლომდე შესაძლოა, დაბრუნდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პანდემია აუცილებლად დაბრუნდება“,** — აღნიშნა ჰანს კლუგემ.

„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის“ წარმომადგენლის განცხადებით, დაავადებები ენდემურია, რომელთა დინამიკის პროგნოზირება შესაძლებელია. **„ამ ვირუსმა არაერთხელ გაგვაოცა, ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ“,** — თქვა კლუგემ.

## ტრაგიკული ნათლისღება



**რუსეთში, ლენინგრადის ოლქის გატჩინის რაიონში, მდინარე ორედეჟში ნათლისღების განბანვის დროს ქალი დაიღუპა, იგი ყინულის ქვეშ დინებამ ჩაითრია.**

ამასთან, ინტერნეტში ვრცელდება ვიდეო, რომელშიც ჩანს, რომ ქალი, პირჯვრის გადაწერის შემდეგ ყინულჭრილში ხტება და წყალში უჩინარდება. ვიდეოში ისმის ბავშვების ყვირილი და ტირილი, ჩანს, რომ ქალის გადარჩენას იქვე მდგომი ადამიანები ცდილობენ.

## ილოცეთ მშვიდობისთვის და გამოიყენეთ დიპლომატია



რომის პაპმა ფრანცისკემ ყოველკვირეული მიმართვისას უკრაინაში მზარდი დაძაბულობა აღნიშნა და ასევე დიპლომატიის გზის გამოყენების მოწოდებით გამოვიდა.

**„მე შეშფოთებით ვადევნებ თვალს მზარდ დაძაბულობას, რომელიც უკრაინაში მშვიდობას ემუქრება და ევროპის უსაფრთხოებას ეჭვქვეშ აყენებს, რასაც კიდევ უფრო სერიოზული შედეგები მოჰყვება“,** — აღნიშნა რომის პაპმა. რომის პაპმა კეთილი ნების მქონე ყველა ადამიანს მოუწოდა, ილოცონ, რათა ყველა პოლიტიკური ინიციატივა ადამიანურ ძმობას ემსახურებოდეს და არა პარტიულ ინტერესებს.

## რუსეთს გერმანიაც აფრთხილებს

**აღმოსავლეთ ევროპის ახალი სახელმწიფოების ნატოში გაწევრიანება დღის წესრიგში ახლა საერთოდ არ დგას — რას ემსახურება რუსეთის ეს მოთხოვნა? ასეთი გარანტია არ შეიძლება იყოს,** — განაცხადა გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა.

უკრაინის საზღვართან არსებულ ვითარებაზე საუბრისას, გერმანიის კანცლერმა განაცხადა, რომ ვითარება ძალიან სერიოზულია. **„არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რომ რუსეთმა უკრაინის საზღვართან დაახლოებით ასი ათასი სამხედრო შეაგროვა. ამის გონივრული ახსნა-განმარტება არ არსებობს. ეს ევროპაში მშვიდობასა და უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის“,** — განაცხადა გერმანიის კანცლერმა. ოლაფ შოლცის თქმით, უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, რუსეთს დიდი ფასის გადახდა მოუწევს.

## კრემლს მაქსიმალურ ტკივილს მივაყენებთ!

უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში, აშშ რუსეთის საკვანძო ინდუსტრიების წინააღმდეგ საექსპორტო კონტროლის ზომებს გამოიყენებს.

**„საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ მაქსიმალურად მივაყენებთ ტკივილს კრემლს“,** — განაცხადა ოფიციალურმა წყარომ. კერძოდ, აშშ-ის ადმინისტრაცია განიხილავს პირდაპირი უცხოური პროდუქტის წესის გამოყენებას, რათა რუსეთში ყველა მიკროელექტრონიკის ექსპორტი გააკონტროლოს, რომელიც შექმნილია ამერიკული პროგრამული უზრუნველყოფის ან ტექნოლოგიის გამოყენებით ან დამზადებულია ამერიკული აღჭურვილობის გამოყენებით. აღნიშნული ზომა შეიძლება შეეხოს რუსეთის ხელოვნური ინტელექტის, საზღვაო, თავდაცვისა და სამოქალაქო ავიაციის სექტორებს. საექსპორტო კონტროლის გამოყენება მიმზიდველია იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ს დომინანტური პოზიციები უკავია მიკროელექტრონიკის სფეროში. სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში, დასავლეთი კრემლს მასშტაბური ეკონომიკური სანქციებით ემუქრება. მოსკოვმა განაცხადა, რომ უკრაინაში შეჭრას არ აპირებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 26 იანვარს**

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 3.0794; ევრო - 3.4908;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1791;
100 რუბლი - 4.0371; თურქული ლირა - 0.2297;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8101;
1000 სომხური დრამი - 6.3888.

### ამინდი 25 იანვრისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | -3, | დღე | +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -8, | დღე | +4 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე | +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე | +4 |
| თბილისი: | ღამე | 0, | დღე | +7 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge